

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია



საქართველოში მიმდინარე
პრივატიზაციის პროცესის ზოგადი
ანალიზი



თბილისი
2005

შინაარსი

შესავალი	3
პრივატიზაციის არსი და სავრთავორისო გამოცდილება	4
პრივატიზაციის პროცესის მარეზულირებელი საკანონმდებლო ბაზა	8
პრივატიზაციის ფორმები	8
სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზება	12
საინვესტიციო საქმიანობა	13
პრივატიზაციის პროცესში არსებული პრობლემები	16
ინფორმაცია პრივატიზაციის პროცესის მიმდინარეობის თაობაზე	18
ალტერნატივები	24
პრობლემების გადაჭრის ბზები და რეკომენდაციები	26
დასკვნა	28
ინფორმაციის წყაროები	29

შეჯამება

საბაზრო ეკონომიკის ფორმირება და ეფექტური მუშაობა წარმოდგენილია კერძო საკუთრების არსებობის გარეშე. ამის საფუძველს, კერძო საკუთრების ინსტიტუტის დამკვიდრებისა და ინვესტირებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნასთან ერთად, სახელმწიფო ქონების განკერძოება წარმოადგენს.

კერძო სექტორის წარმოშობა საქართველოში საკანონმდებლო წესით იყო უზრუნველყოფილი, ჯერ კანონით „საკუთრების შესახებ“, ხოლო შემდეგ კანონით „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“, რამაც დიდი გასაქანი მისცა არა მხოლოდ არსებულ სახელმწიფო საწარმოთა გარდაქმნას კერძო საწარმოებად, არამედ ახალ კერძო საწარმოთა გახსნასაც.

აღსანიშნავია, რომ კერძო საწარმოთა სექტორი ზრდის ტემპებით ხასიათდება. სწორედ კერძო საკუთრება წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, სამეწარმეო საქმიანობის ძირითად შინაარსსა და მამოძრავებელ ძალას. ეს უკანასკნელი კი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. კერძო სექტორის განვითარების პოტენციალი იმ ფაქტიდან გამომდინარეობს, რომ საწარმოთა ყველა ტიპიდან ყველაზე მეტად კერძო სექტორია მოტივირებული მაქსიმალურად ისწრაფოს მოგების გაზრდისაკენ.

ამდენად, პრივატიზების აუცილებლობა, როგორც წესი, გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზებით, მათ შორის სახელმწიფო საწარმოების ეფექტიანობის ამაღლების ობიექტური საჭიროებით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, კერძო საკუთრების დამკვიდრება და გარდამავალ პერიოდში სახელმწიფო ქონების პრივატიზება ეკონომიკის გაჯანსაღების აუცილებელი პირობაა.

ამრიგად, პრივატიზება საქართველოში მიმდინარე საკმაოდ აქტუალური და საინტერესო პროცესია, მაგრამ იმისათვის, რომ მან არ მიიღოს „პრივატიზაციის“ ანუ სახელმწიფო ქონების მიტაცების სახე, აუცილებელია მისი კანონიერად და სწორად წარმართვა, ამისათვის კი საჭიროა: კორუფციის აღმოფხვრა, გამართული და ლიბერალური საკანონმდებლო ბაზა და კარგად გათვლილი ეკონომიკური პოლიტიკა.

პრივატიზაციის არსი და სამართაშორისო გამოცდილება

ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკის ტრანსფორმაციული პროცესის ერთ-ერთ უმთავრეს შედეგს კერძო სექტორის ჩამოყალიბება და მეწარმეობის განვითარება წარმოადგენს. აღნიშნული ეკონომიკური მოვლენის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს პრივატიზაციის პროცესი ასრულებს.

საქართველოში, სადაც მთავარ მიზნად დასახული იყო სოციალისტური საზოგადოებრივი სისტემის დემონტაჟი და კაპიტალისტური სისტემის დამკვიდრება, ტრანსფორმაციის ზოგადი მექანიზმი შემდეგი ძირითადი მოთხოვნებით ხასიათდება: მთავარი ობიექტური ფაქტორი იყო ის, რომ სოციალისტურმა სამეურნეო სისტემამ ვერ უზრუნველყო პროგრესის სათანადო დონე, წარმოების საჭირო ეფექტიანობა, მომგებიანობა, კონკურენტუნარიანობა, შემოსავლები, დანაზოგები, ინვესტიციური აქტივობა, განვითარების მაღალი ტემპი და შესაბამისად, ადამიანის მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილება, ცხოვრების სათანადო დონე და ხარისხი. ამ ფაქტორების მოქმედებამ გამოიწვია ადამიანის ეკონომიკური ინტერესების ყოველდღიური შეუთავსებლობა მოქმედი სისტემის ინტერესებისადმი სამეურნეო ცხოვრების ყველა დარგში.

ტრანსფორმაციის დროს თანდათან საკუთრების სფეროშიც ყალიბდება ახალი ეკონომიკური ურთიერთობები. აქვე აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა ქვეყანაში, რომელთა ეროვნულ მეურნეობაში სახელმწიფო სექტორი დომინირებულ როლს ასრულებს, ხოლო კერძო სექტორი მეტისმეტად შეზღუდულია, ეკონომიკურ სფეროში მარცხი განიცადა. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორის არსებობა მეტყველებს იმაზე, რომ ამ ქვეყანაში ეკონომიკური განვითარება დაბალ დონეზეა, ვიდრე კლასიკურ კაპიტალისტურ ქვეყანაში.

საქართველოში კერძო სექტორი უმთავრესად პრივატიზებული მცირე და საშუალო საწარმოებისაგან შედგება. ისინი არცთუ დიდი ხანია, რაც დამოუკიდებელ ფუნქციონირებას შეუდგნენ ამიტომ ცხადია, თუ რაოდენ დიდი ძალისხმევაა საჭირო კერძო სექტორის შემდგომი განვითარებისათვის. მართალია, კერძო სექტორის ჩამოყალიბება ფრიად რთული და კომპლექსური პრობლემაა, მაგრამ მისი დაჩქარება საქართველოსათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. სხვანაირად ქვეყანა სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევის ვერ შეძლებს.

პრივატიზაციის აუცილებლობა, როგორც წესი, გამოწვეულია შემდეგი ძირითადი მიზეზებით: სახელმწიფო საწარმოების შედარებით დაბალი ეფექტიანობითა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ობიექტური საჭიროებით; კერძო საკუთრების დამკვიდრების მოთხოვნით; საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების აუცილებლობით, რადგან მის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა.

პრივატიზაცია ხელს უწყობს მეწარმეობლურობის ამაღლებას, კონკურენციის გაძლიერებას და სხვა, რაც საბოლოო ჯამში იწვევს ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებას. პრივატიზაციის ერთ-ერთ უპირატესობად ითვლება ის, რომ იგი ქმნის კონკურენტულ გარემოს, რაც უზრუნველყოფს წარმოების ზრდას და სახელმწიფო სტრუქტურების მონოპოლისტური გავლენისაგან ბაზრის დაცვას.

პრივატიზაციის მნიშვნელობა იმ ფაქტიდანაც გამომდინარეობს, რომ ეკონომიკურ ობიექტებს პატრონი გამოუჩნდებათ, რომლებიც თავად იზრუნებენ მათ

პერსპექტიულ მუშაობაზე, ვინაიდან დაფინანსების გარეშე მყოფი სახელმწიფო საწარმოები უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა და მათი უმნიშვნელოვანესი ნაწილი გაძარცვა-განადგურებას ვერ გადაურჩა. სახელმწიფო არჩევანის წინაშე დგას უპატრონოს, დააფინანსოს ისინი ან გადასცეს მათ, ვინც ამას შეძლებს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში პრივატიზაციის პროცესი საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობს, იგი ჯერ კიდევ დაუმთავრებელია. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინება. პრივატიზება, როგორც საკუთრების ფორმის გარდაქმნის ხერხი, მრავალ ქვეყანაში ხორციელდება.

აღსანიშნავია, რომ პოსტსოციალისტურ ქვეყნებში დამახასიათებელი იყო პრივატიზაციის შემდეგი ტიპები:

- ზომიერად რადიკალური
- რადიკალური
- ევოლუციური

ზომიერად რადიკალური პრივატიზაციის მაგალითებია ჩეხეთი, უნგრეთი, სლოვაკეთი, ბულგარეთი. აქ წყდებოდა ერთდროულად ორი ამოცანა: ერთის მხრივ იყო სწრაფი პრივატიზაციის განხორციელება, მეორეს მხრივ, კი აქცენტი ინვესტიციებისა და ტექნოლოგიური მოდერნიზაციის პირობებზე კეთდებოდა. ყველაზე უფრო სამართლიანი და სოციალურად ზომიერი აღმოჩნდა კუპონური პრივატიზების ჩეხოსლოვაკიური გამოცდილება, რომელიც განხორციელდა 1991 წლიდან. ქვეყნის ყველა სრულწლოვანმა მოქალაქემ მიიღო სახელობითი საკუპონე წიგნაკი, რომელიც არ ექვემდებარებოდა ყიდვა-გაყიდვას. მათ მფლობელებს შეეძლოთ ინვესტიციური ფონდების მეშვეობით დაუფლებოდნენ აქციების პაკეტს 70 000 კრონის, ანუ დაახლოებით 2800 აშშ დოლარის ნომინალური ღირებულებით. კუპონური პრივატიზება საკუთრების საკმაოდ ფართოდ გაბნევის საშუალებას იძლევა მოსახლეობის სხვადასხვა ფენაში. ეს კი მესაკუთრეთა კლასის ჩამოყალიბებასა და დიდი პრივატიზების კრიმინალიზაციის თავიდან აცილებას უწყობს ხელს.

ზომიერად რადიკალური ტიპი გულისხმობს სწრაფი პრივატიზაციის განხორციელებასთან ერთად ინვესტიციებისა და სწრაფი მოდერნიზაციის შეთავსებას.

ეკონომიკური ეფექტიანობის თვალსაზრისით, პრივატიზება ყველაზე უფრო შედეგიანი აღმოჩნდა პოლონეთში. მისთვის დამახასიათებელი იყო პრივატიზების რადიკალური, სწრაფი განხორციელება კერძო პირებისათვის, მათ შორის უცხოელი ინვესტორებისათვის, სახელმწიფო ქონების მიყიდვის გზით. 90-იანი წლების დასაწყისში 8000 საწარმოდან პრივატიზებული იყო 1150. დანარჩენი 5000 გადაეცა საპრივატიზებო უწყებას, რომელიც თავისი სახსრებით თავად ახორციელებდა სანირებას, რენტაბელობის ამაღლების მომდევნო ეტაპზე პრივატიზაციის გაცილებით უფრო მაღალ ფასად ჩატარების მიზნით. 1995 წლიდან დაწყებული ამ საწარმოების აქციების გაყიდვა მიმდინარეობდა ეტაპობრივად, თავდაპირველად გაიყიდა 413 საწარმოს აქციები. აქციები იყიდება ნაღდ ფულზე ან საპრივატიზაციო სერთიფიკატებზე. უპერსპექტივობის გამო სწრაფად დაიხურა დანარჩენი 2000 საწარმო, რამაც უმუშევრობის მკვეთრი ზრდა გამოიწვია. ამიტომ პოლონეთში პრივატიზება სოციალური თანასწორობის თვალსაზრისით, ნაკლებად მიმზიდველი აღმოჩნდა, თუმცა იგი კაპიტალის რეალური დაგროვებითაც

ხასიათდებოდა, რამაც ქვეყანაში ტრანსფორმაციული კრიზისის შედარებით სწრაფად დაძლევა შეუწყო ხელი.

რადიკალური ტიპი ითვალისწინებს საწარმოების რაც შეიძლება სწრაფად მიყიდვას კერძო პირებისათვის, მათ შორის უცხოელი ინვესტორებისათვის.

საქართველოში პრივატიზაციის პროცესი ძირითადად რუსული სცენარით ხორციელდებოდა, ამიტომ საინტერესოა რუსეთის გამოცდილება.

რუსეთში პრივატიზება რადიკალური იყო, თუმცა იგი თავისებურებითაც გამოირჩევა. თავდაპირველად აქ “მცირე პრივატიზება” განხორციელდა, მცირე საწარმოების 70% გაიყიდა აუქციონებსა და კონკურსებზე. “დიდი პრივატიზება” ამ პერიოდში უპირატესად უსასყიდლოდ, საპრივატიზაციო ვაუჩერების საშუალებით ჩატარდა. მსხვილი საწარმოები ჯერ სააქციო საზოგადოებებად ჩამოყალიბდა, შემდეგ ვაუჩერებზე გაიყიდა. ამასთან, დიდი შეღავათებით სარგებლობდნენ საწარმოთა მუშები, რომლებიც უსასყიდლოდ ან შეღავათებით დაეუფლნენ აქციონერული კაპიტალის 40-51%-ს.

1994 წლიდან ხორციელდებოდა პრივატიზაციის მეორე ეტაპი. საწარმოთა აქციების შექმნა მხოლოდ ფულზე ხდებოდა, თუმცა იგი ნელი ტემპით მიმდინარეობდა, მოსახლეობის მცირე მსყიდველობითუნარიანობის გამო. ამასთან, „მცირე პრივატიზებით“ ვერ მიაღწიეს მთავარ ეკონომიკურ და სოციალურ მიზანს- შექმნათ ძლიერი საშუალო კლასი. ამიტომ, რუსეთში კვლავ მწვავეა უმუშევრობის პრობლემა. მისი გადაწყვეტა მხოლოდ მცირე საწარმოთა ქსელის გაფართოებით შეიძლება.

კიდევ უფრო წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა მსხვილი პრივატიზაციის შედეგები. საწარმოების გაყიდვა მცირე ფასად ხდებოდა, შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტმა მნიშვნელოვანი შემოსავლები დაკარგა. ამრიგად, პრივატიზება რუსეთში უპირატესად უსასყიდლოდ და შეღავათებით განხორციელდა, ამიტომ იგი რეალური კაპიტალის დაგროვებით არ ხასიათდებოდა და ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობ მნიშვნელოვან ფაქტორადაც ვერ ჩამოყალიბდა.

დიდ ინტერესს იწვევს ჩინეთის გამოცდილება, რომელიც ევოლუციური პრივატიზებით გამოირჩევა. სახელმწიფო საკუთრების შენარჩუნების პირობებში თავდაპირველად აქ ხორციელდებოდა საწარმოების თვითდაფინანსებასა და თვითმართველობაზე გადასვლა. საწარმოებს არ შეეძლოთ წარმოების საშუალებებით, რესურსებით ვაჭრობა, მაგრამ ბოლო პერიოდში გაძლიერდა საკუთრების ახალი, ალტერნატიული ფორმების დამკვიდრება (არა პრივატიზებით, არამედ ინვეტიციების ალტერნატიული წყაროების საფუძველზე, ახალი საწარმოების შექმნით). ჩინეთის რეფორმისათვის დამახასიათებელია აქცენტი არა საკუთრების ფორმების შეცვლასა და ეკონომიკური ძალაუფლების განაწილებაზე, არამედ საქონლისა და მომსახურების წარმოების გადიდებაზე, ინვესტიციების გაფართოებაზე. ეს მიზნები რეალიზებულია და რეფორმებმა გამოიწვია არა წარმოების დაცემა, არამედ მისი მაღალი ტემპით ზრდა. ჩინეთის გამოცდილება გარკვეულწილად პასუხობს რეფორმის ეკონომიკურ კრიტერიუმებს: წარმოების ეფექტიანობის ზრდას, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარებას, ცხოვრების დონის ამაღლებას.

ევოლუციური ტიპი ითვალისწინებს საკუთრების უფლების გადანაწილებას სახელმწიფოსა და საწარმოებს შორის, ხდება

**საწარმოების კომერციალიზაცია, თვითდაფინანსებასა და
თვითმართველობაზე გადასვლა სახელმწიფო საკუთრების
შენარჩუნების პირობებში.**

ამგვარად, საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მთავარია არა მხოლოდ პრივატიზების განხორციელების ხერხის, ტიპის შერჩევა, არამედ შესაბამისობა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ, ასევე პოლიტიკურ თავისებურებებთან, და რა თქმა უნდა უმნიშვნელოვანესია საბოლოო შედეგი. აღნიშნული მოვლენის დადებითი შედეგების მისაღებად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მის ორგანულ შერწყმას მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის, სტრუქტურული და ინსტიტუციური გარდაქმნების პროცესებთან. ერთმანეთთან დაბალანსების გარეშე ისინი შედეგს ვერ გამოიღებენ.

პრივატიზაციის პროცესის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა

პრივატიზაცია საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. პრივატიზების პროცესი რეგულირდება სხვადასხვა ნორმატიული აქტებით:

- საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ“
- საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დამტკიცების თაობაზე“.
- საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება „სახელმწიფო ქონების კონკურსის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“
- ქონების მართვის სამინისტრო ბრძანება „სახელმწიფო ქონების იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“
- ქონების მართვის სამინისტრო ბრძანება „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“

საქართველოს კანონით „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ პრივატიზება განისაზღვრება, როგორც სახელმწიფო ქონებაზე საკუთრების უფლების შექმნა. რაც შეეხება სახელმწიფო ქონების მიყიდვას, ის შეიძლება იყოს საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირი, (რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია). აღსანიშნავია, რომ კანონში არსებობს მკაფიო ჩამონათვალი იმ ქონებისა, რომელიც პრივატიზებას არ ექვემდებარება. ამ ჩამონათვალს მიეკუთვნება ელექტროენერგეტიკული სექტორის გადაცემა-დისპეტჩერიზაციის სამსახურები. მიუხედავად ამისა, ბუნდოვანია, თუ რის საფუძველზე მოხდა ამ უკანასკნელის გასხვისება.


სახელმწიფო ქონების პრივატიზების კანონით განსაზღვრულ ფორმებს განეკუთვნება: 1. კონკურსი 2. აუქციონი 3. იჯარა-გამოსყიდვა 4. პირდაპირი მიყიდვა.

პრივატიზაციის ფორმები


კონკურსის ფორმით პრივატიზების მიზანია ქონებაზე საკუთრების უფლების მინიჭება იმ მიყიდველისათვის, რომელიც სამინისტროს ყველაზე უკეთეს პირობებს შესთავაზებს.

კანონით განსაზღვრულია კონკურსის ფორმით ქონების პრივატიზების ორგანიზაციისა და ჩატარების წესი. ეკონომიკური განვითარების სამინისტრო აქვეყნებს საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხას. ამის შემდეგ ტარდება წინასაკვალიფიკაციო შერჩევა. მასში მონაწილეობის მისაღებად, დაინტერესებული პირები სამინისტროს წარუდგენენ რიგ დოკუმენტაციას, რომელიც შეიცავს განაცხადს, მის მიერ წარმოდგენილ წინადადებებს. შერჩევაში გამოვლენილი პირები

მონაწილეობას იღებენ კონკურსში. გამარჯვებულად ცხადდება მონაწილე, რომლის წინადადებები აკმაყოფილებს კონკურსის კრიტერიუმებს და წარმოადგენს საუკეთესო პირობებს. სამინისტრო უფლებამოსილია რიგითობის მიხედვით დაადგინოს საუკეთესო წინადადებები და აწარმოოს მოლაპარაკებები. ამის შემდგომ ხდება გამარჯვებულის გამოვლენა, რომელთანაც ფორმდება შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულება.




სახელმწიფო ქონების პრივატიზება აგრეთვე შეიძლება განხორციელდეს **აუქციონის ფორმით**. მისი მიზანია საკუთრების უფლება მიენიჭოს იმ მყიდველს, რომელიც ვაჭრობის პროცესში სამინისტროს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს. აუქციონის ფორმით ქონების გაყიდვა ხდება შემდეგი თანმიმდევრობით:



ისევე, როგორც კონკურსის ფორმით პრივატიზების შემთხვევაში, აუქციონის დროსაც შეიძლება ჩატარდეს წინასაკვალიფიკაციო შერჩევა, რომლის ორგანიზებისა და ჩატარების წესი ანალოგიურია კონკურსის დროს ჩატარებული წინასაკვალიფიკაციო შერჩევისა.

ამის შემდეგ აუქციონში მონაწილე სამინისტროს წარუდგენს დოკუმენტებს, რომელიც შეიცავს განაცხადს, ინფორმაციას მონაწილეზე, ქონების დასახელებას, რომლის შეძენაც მას სურს, საწყის ფასს. თითოეულ ობიექტზე ვაჭრობა გრძელდება მანამ ვიდრე რომელიმე მონაწილე არ დაასახელებს ყველაზე მაღალ ფასს. აღნიშნული პროცესი სრულდება ხელშეკრულების გაფორმებით.

პრივატიზება ხდება ასევე **პირდაპირი მიყიდვის ფორმითაც**. ამის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს და შესაბამის პირობებს ადგენს საქართველოს პრეზიდენტი. აღნიშნული ფორმით გაყიდვის არსი იმაში მდგომარეობს, რომ საკუთრების უფლება გადაეცეს იმ მყიდველს, რომელიც სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებს დადგენილ პირობებს. მისი მიზანია გასაყიდი ქონების თავისებურებიდან გამომდინარე, ინვესტიციების მოზიდვა წარმოდგენილი ბიზნეს გეგმის საფუძველზე.




კანონის თანახმად, მყიდველი ეკონომიკის სამინისტროს წარუდგენს დოკუმენტებს, რომელიც შეიცავს განაცხადს და ინფორმაციას შესყიდვის მსურველის შესახებ. სამინისტრო იხილავს შემოსულ განაცხადებს, რის შემდეგაც სათანადო წინადადებებს წარუდგენს პრეზიდენტს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას გაყიდვის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ კონკურსის, აუქციონის ან პირდაპირი ფორმით სახელმწიფო ქონების პრივატიზებისას დადებულ ხელშეკრულებაში შეიტანება ცნობები მყიდველისა და გამყიდველის შესახებ, მყიდველის ვალდებულება ქონების გამოყენების შესახებ, პრივატიზების პირობები და თანხის გადახდის გრაფიკი. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, სახელმწიფო ქონების გასაყიდი ფასის სრულად დაფარვამდე, მყიდველს ქონება გადაეცემა მფლობელობაში და სარგებლობაში, ხოლო აქციები ან წილი – მართვის უფლებით. საკუთრების უფლება კი ეძლევა გასაყიდი ფასის სრულად დაფარვის შემდეგ, შესაბამისი საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის მომენტიდან.

პრივატიზების შესახებ კანონის თანახმად, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მყიდველს სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე არ აქვს უფლება განკარგოს, გასცეს სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად დატვირთოს გადაცემული ქონება. ამასთან, იგი პასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლა-პატრონობაზე.

ეკონომიკის სამინისტრო აკონტროლებს რა პრივატიზების პროცესს სახელმწიფოში, გამოავლენს ამ სფეროში კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს და ფაქტებს, იღებს ზომებს მათ აღმოსაფხვრელად. გარდა ამისა, პრივატიზებასთან დაკავშირებულ ყველა სადაო და ბათილად ცნობის საკითხებს განიხილავს სასამართლო.


როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრივატიზაციის ერთ-ერთი ფორმაა **იჯარა-გამოსყიდვა**, რომლის მიზანია იჯარით გაცემული ქონების გამოსყიდვამდე მოიჯარისათვის სამეურნეო და სხვა საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვისათვის ტერიტორიულ ფასეულობის ვადიანი და სასყიდლიანი მფლობელობისა და სარგებლის უფლების მინიჭება.



სახელმწიფო ქონების იჯარა-გამოსყიდვის ფორმით გაცემა ხდება კონკურსის წესის შესაბამისად. „მოიჯარე“ ანუ ეკონომიკური განვითარების სამინისტრო უზრუნველყოფს ინფორმაციის გამოქვეყნებას. დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირები საკონკურსო კომისიას წარუდგენენ განცხადებებს. შესაბამისად საკონკურსო კომისია რეგისტრაციაში ატარებს მათ მიერ წარდგენილ განცხადებებს და გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ შეჯამებულ ოქმს გადასცემს „მოიჯარეს“, რომელიც 10 დღის ვადაში ამტკიცებს შედეგებს. შერჩევაში გამარჯვებული პირები მონაწილეობას იღებენ კონკურსში. გამარჯვებულად ითვლება ის პირი, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს საკონკურსო კრიტერიუმებს. გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ ფორმდება გამოსყიდვის ხელშეკრულება, ქონების მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად, რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებაში განსაზღვრული უნდა იყოს საკონკურსო პირობებიდან და გასაფორმებელი ხელშეკრულების სპეციფიკიდან გამომდინარე ყველა მონაცემი. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სხვა აუცილებელ მონაცემთან ერთად საიჯარო ხელშეკრულება აუცილებლად უნდა შეიცავდეს იჯარით გაცემული ქონების გამოსყიდვის პირობებს, ვადებს და საჯარიმო სანქციებს. „მოიჯარის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში იგი ღებულობს გაფრთხილებას და ჯარიმდება. ყოველივე აღნიშნულის დაცვა განაპირობებს პრივატიზაციის წარმატებულობასა და ეფექტურობას.

სახელმწიფო ქონების ღირებულებისა და ქირის სრულად დაფარვის შემდეგ „მოიჯარეს“ გადაეცემა შესაბამისი საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა. აღსანიშნავია, რომ რეგისტრაციის ხარჯები იფარება „მოიჯარის“ მიერ.

დიაგრამა 1. პრივატიზების ფორმები 2005 წლის 9 თვის მონაცემები



მოცემული დიაგრამა (იხ. დიაგრამა 1) ეყრდნობა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებს სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის ფორმების შესახებ. როგორც დიაგრამიდან ჩანს, აღნიშნულ პერიოდში სჭარბობდა სახელმწიფო ქონების პრივატიზება აუქციონის ფორმით. ეს ფაქტი აიხსნება იმით, რომ 2005 წელს მიმდინარე პრივატიზაციის პროცესში პრიორიტეტი ენიჭებოდა

მიყიდველს, რომელიც გადაიხდიდა მეტ თანხას, ანუ პრივატიზაცია ორიენტირებული იყო მაქსიმალური შემოსავლის მიღებაზე.

სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზება

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პრივატიზება რეგულირდება საქართველოს კანონით „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ“.

აღნიშნული კანონის მიზანია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის პრივატიზების შედეგად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდის ათვისება, მისი რაციონალურად გამოყენება და მიწის ბაზრის განვითარებისათვის ხელის შეწყობა.

კანონის თანახმად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზება ხორციელდება სპეციალური აუქციონის, ღია აუქციონის ან პირდაპირი მიყიდვის ფორმით.

იჯარით გაცემული მიწის ნაკვეთების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებას, ასევე ღია აუქციონით იჯარით გაუცემელ და ყოფილ საიჯარო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პრივატიზებას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, ხოლო იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების პრივატიზებას სპეციალურ აუქციონზე ახორციელებს სოფლის, ქალაქის, დაბის ან თემის საკრებულო.

იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზაცია ხორციელდება სპეციალური აუქციონით, იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი – პირდაპირი მიყიდვის ფორმით, ხოლო სპეციალურ აუქციონზე გაუყიდავი მიწები – ღია აუქციონით.

სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის პირდაპირი მიყიდვის წესით პრივატიზებისათვის აუცილებელია მოიჯარესა და სახელმწიფოს შორის საჯარო რეესტრში რეგისტრირებული საიჯარო ხელშეკრულება. მოიჯარემ დაინტერესების შემთხვევაში განცხადებით უნდა მიმართოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს. კანონით დაუშვებელია მოიჯარის მიერ იჯარით აღებული მიწის ნაკვეთის ნაწილის პრივატიზება. თუ საიჯარო მიწის ფართობი შედგება რამდენიმე ერთმანეთისგან სივრცობრივ-გეოგრაფიულად დამოუკიდებელი მიწის ნაკვეთებისგან, მას უფლება აქვს გამოისყიდოს სასურველი მიწის ნაკვეთი. საიჯარო მიწის ნაკვეთის პრივატიზების შემთხვევაში დარჩენილ საიჯარო ნაკვეთზე უქმდება საიჯარო ხელშეკრულება და იგი გაიყიდება ღია აუქციონზე.

იჯარით გაცემული მიწის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისას შესასყიდი ფასი ტოლია გამოსყიდვის თაობაზე განცხადების წარდგენის დროისათვის დადგენილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის საბაზისო წლიური განაკვეთის ათმაგი ოდენობისა. შენობა-ნაგებობების არსებობის შემთხვევაში გასაყიდ ფასს ემატება მათი ღირებულება.

მოიჯარეს საიჯარო მიწის პრივატიზების თაობაზე განცხადების წარდგენიდან 1 თვის შემდეგ მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული უძრავი ქონების შესაძენი თანხის სულ მცირე 20% შეაქვს სპეციალურ ანგარიშზე. აღნიშნული თანხის

გადახდის დოკუმენტი წარედგინება ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს. თანხის ვადამდელი გადახდის შემთხვევაში მოიჯარე იხდის ფასდაკლებით.

იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზება ხორციელდება სპეციალური და ღია აუქციონის ფორმით. სპეციალურ აუქციონზე გამარჯვებულის არ გამოვლენის შემთხვევაში ტარდება ღია აუქციონი. სპეციალურ აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს მხოლოდ იმ ქალაქის, სოფლის, დაბის ან თემის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირს, სადაც მდებარეობს გასაყიდი მიწის ნაკვეთი. ამ შემთხვევაში ფასის შეთავაზება ხდება ერთჯერადად, წერილობითი სახით.

სპეციალურ აუქციონზე გასაყიდი მიწის ნაკვეთის ფასი და ღია აუქციონზე გასაყიდი იჯარით გაუცემელი მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი ტოლია აუქციონის გამოცხადების დროისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დადგენილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის საბაზისო წლიური განაკვეთის ორმაგი ოდენობისა, ხოლო ღია აუქციონზე ყოფილი საიჯარო მიწის ნაკვეთის გასაყიდი ფასი მიწაზე ქონების გადასახადის საბაზისო წლიური განაკვეთის ათმაგი ოდენობისაა. შენობა-ნაგებობების არსებობის შემთხვევაში საწყის ფასს ემატება მათი ღირებულება.

სპეციალურ და ღია აუქციონებში გამარჯვებული პირი გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის მიღებიდან 1 თვის განმავლობაში იხდის მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული უძრავი ქონების შესაძენ თანხას ან შესაძენი თანხის სულ მცირე 20%-ს სპეციალურ ანგარიშზე და წარუდგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს. შემდგომ შეუძლია მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ქონების თანხა გადაიხადოს ერთბაშად ან ნაწილ-ნაწილ 9 წლის განმავლობაში, თუ თანხა მოცემულ ვადაში არ დაიფარება ქონება გაიყიდება. თანხის ვადამდელი დაფარვის შემთხვევაში მყიდველი იხდის თანხას ფასდაკლებით.

სასოფლო-სამეურნეო მიწაზე და სხვა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება და იპოთეკა (თუ ასეთი არსებობს) რეგისტრირდება ერთად, პირველადი რეგისტრაციის სახით.

მიწისა და სხვა ქონების სპეციალური, ღია ან პირდაპირი მიყიდვის ფორმით შემქმნმა, ქონებაზე საკუთრების უფლების ან იპოთეკის რეგისტრაციისათვის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამის სამსახურს უნდა წარუდგინოს საჭირო დოკუმენტები.

საინვესტიციო საქმიანობა

პრივატიზაციის შედეგად შესყიდული ობიექტი, ინვესტორისთვის ანუ მყიდველისთვის მიმზიდველია საინვესტიციო თვალსაზრისით და იგი ვარაუდობს პრივატიზებულ ობიექტში ქონებრივი თუ ინტელექტუალური ფასეულობის დაბანდებას და მის გამოყენებას შესაძლო მოგების მიღების მიზნით. უფრო მეტიც, სახელმწიფო თავისი ქონების განკერძოებისას ხშირად ერთ-ერთ პირობად აყალიბებს პრივატიზებულ ობიექტში ინვესტიციის განხორციელების მოთხოვნას. გარდა ამისა, პრივატიზაცია არის ერთერთი გზა ადგილობრივი მრეწველობის და ეკონომიკის რეაბილიტაციისა. საქართველოს კანონი “საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობის და გარანტიების შესახებ” (1997 წ.) აყალიბებს ინვესტიციის

განმარტებას: ინვესტიციად მიიჩნევა ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც დაბანდდება და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ სამეწარმეო საქმიანობაში. ინვესტორად შეიძლება მოგვევლინოს ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ასორციელებს ინვესტირებას საქართველოში. ამრიგად, საქართველოში ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნა ხელს უწყობს პრივატიზაციის პროცესის გაფართოებას და ეფექტიანობის ზრდას. ამასთან, ზემოთ აღნიშნული კანონის მიხედვით, უცხოელი ინვესტორის უფლებები და გარანტიები არ შეიძლება იყოს იმ უფლებებზე და გარანტიებზე ნაკლები, რომლითაც სარგებლობს საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირი, გარდა კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.

დღესდღეობით ინვესტიციების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან მოქმედებს საქართველოს საინვესტიციო სააგენტო, იგი უზრუნველყოფს, სახელმწიფო პროგრამების შემუშავებას ამ სფეროში, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას და ა. შ. ამ მიზნით კანონი “საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ” შეღავათიან სამართლებრივ რეჟიმს სთავაზობს უცხოელ ინვესტორებს, მაგალითად, ახალი საკანონმდებლო აქტი, რომელიც აუარესებს აღნიშნული კანონით დადგენილ ინვესტიციების პირობებს, მისი ძალაში შესვლიდან ათი წლის განმავლობაში არ ვრცელდება უკვე განხორციელებულ ინვესტიციაზე. გარდა ამისა, უცხოელ ინვესტორს ადგილობრივის მსგავსად უწესდება ზიანის ანაზღაურების პირობები საომარი მდგომარეობის და შეიარაღებული კონფლიქტების დროს. ამასთან, ინვესტიცია მთლიანად და უპირობოდ არის დაცული საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

პრივატიზაციის პროცესის შედეგად საქართველოში ჩამოყალიბდა არაერთი სამეწარმეო ინტერესის მქონე იურიდიული პირი კანონით განსაზღვრულ სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საფუძველზე. ქვეყანაში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესისთვის და საფონდო ბაზრის განვითარებისთვის მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების გამჭირვალე და ეფექტური ფორმირება. სამეწარმეო საქმიანობის ეფექტურად მართვისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შერჩევა. ამ მხრივ საქართველოს კანონი “მეწარმეთა შესახებ” მკაფიოდ განსაზღვრავს სამეწარმეო საქმიანობის მოწყობის შემდეგ სახეებს: ინდივიდუალური საწარმო, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს) და კოოპერატივი. ინდივიდუალური მეწარმე, როგორც ინდივიდუალური საწარმოს მფლობელი, არის ფიზიკური პირი, რომლის სამეწარმეო საქმიანობისთვის აუცილებელია სამეწარმეო წესით მოწყობილი ორგანიზაცია, მოწესრიგებული საკასო და საბუღალტრო საქმე. სამართლებრივ ურთიერთობებში იგი გამოდის თავისი სახელით. ხოლო შპს, კს, შპს, სს და კოოპერატივი წარმოადგენენ იურიდიულ პირებს. საწარმო, გარდა კოოპერატივისა, რომელშიც ორმოცდაათზე მეტი პარტნიორია, უნდა ჩამოყალიბდეს მხოლოდ სააქციო საზოგადოების სახით. საწარმო, როგორც უფლება-მოვალეობათა მქონე იურიდიული სუბიექტი წარმოიშობა მხოლოდ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან, გარდა სახაზინო საწარმოებისა. სამეწარმეო რეესტრს აწარმოებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახდო დეპარტამენტი. განცხადება საწარმოს რეგისტრაციის შესახებ შეიტანება საგადასახდლო ორგანოში საზოგადოების

ადგილსამყოფელის მიხედვით. განცხადება (ყველა საწარმოსთვის) უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს: საფირმო სახელწოდებას, ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, ადგილსამყოფელს (იურიდიულ მისამართს), მონაცემებს სამეურნეო წლის დასაწყისის და დამთავრების შესახებ, მონაცემებს ყოველი დამფუძნებელი პარტნიორის შესახებ, ხოლო თუ დამფუძნებელი იურიდიული პირია, მის საფირმო სახელწოდებას და იურიდიულ მისამართს. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, კანონმდებლობა ითვალისწინებს კონკრეტული, დამატებითი ინფორმაციის თანდართვას ცალკეული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისთვის. ზემოთაღნიშნული კანონის მიხედვით, ინდ. მეწარმე თავისი სამეწარმეო საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისთვის პირადად აგებს პასუხს კრედიტორების წინაშე. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები და კომანდიტური საზოგადოების პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები (კომპლემენტარები) საზოგადოების ვალდებულებებზე კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად, ანუ უშუალოდ, მთლიანად, პირდაპირ, შეუზღუდავად მთელი თავისი ქონებით. საზოგადოების საწესდებო კაპიტალის ფორმირებისას შესატანი შეიძლება წარმოდგენილი იქნეს მატერიალური და არამატერიალური ქონებრივი ობიექტების სახით, გარდა სამუშაოს შესრულებისა და მომსახურების გაწევისა. ამასთან, შპს-ში მინიმალური საწესდებო კაპიტალის ფორმირებისას შესატანი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ფულადი სახით.

ჩვენი აზრით, პრივატიზაციის და საინვესტიციო საქმიანობების ერთმანეთთან დაკავშირებით საინტერესო დასკვნების გაკეთება შეიძლება. მათი უშუალო კავშირიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერი ღონისძიება, გატარებული საქართველოში ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად, თავისთავად ხელს უწყობს პრივატიზაციის პროცესის განვითარებას.

პრივატიზაციის პროცესში არსებული პრობლემები

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი ქვეყნისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრივატიზაციის პროცესის სწრაფი და ეფექტური განხორციელება.

მიუხედავად წარმატებისა, პრივატიზაციის პროცესში კვლავ რჩება არა ერთი პრობლემა:

პრობლემად რჩება პროცესის გაუმჭვირვალობა, რის შედეგადაც საზოგადოების წინაშე მიმდინარე პრივატიზაციის პროცესს არაპოპულარული და საეჭვო იმიჯი უყალიბდება.

პრობლემებს ვაწყდებით იჯარა-გამოსყიდვის ფორმით სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის დროსაც. პრივატიზაციის ეს ფორმა თავის დროზე გათვლილი იყო მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე და ძირითადად, საწარმოების მიერ საიჯარო ქონების განვადებით გამოსყიდვას ითვალისწინებდა. მოიჯარეს გამოსასყიდი თანხის გარდა, ყოველწლიურად საიჯარო ქირის გადახდაც ევალებოდა, რაც მყიდველისათვის დამატებით გადასახადს წარმოადგენდა და ქონების გამოსყიდვის პროცესს აჭიანურებდა. მოიჯარესა და სამინისტროს შორის „დადაბულმა“ ურთიერთობებმა 600-ზე მეტი ხელშეკრულების გაუქმება გამოიწვია. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ პრივატიზაციის ამ ფორმამ ვერ გაამართლა.

სტატისტიკური მონაცემებით, 1998-2000 წლებში სამინისტრომ და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა იჯარა-გამოსყიდვის ფორმით გასცა 1758 ობიექტი, აქედან: 1998 წელს 674 ობიექტი, 1999 წელს 149 ობიექტი, ხოლო 2000 წელს 45 ობიექტი. 2004 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით ტერიტორიული ორგანოები აკონტროლებდნენ იჯარა გამოსყიდვის ფორმით გაცემულ 299 ობიექტზე გაფორმებულ ხელშეკრულებას. აქედან თანხის დავალიანება ერიცხება 178 მოიჯარეს. პირობების დარღვევისათვის ხელშეკრულება გაუქმდა 17 მოიჯარეს, სასამართლოში შეტანილია სარჩელი 34 მოიჯარეზე.

ამდგომარეობის სიტუაციას ვხვდებით კონკურსის ფორმით ობიექტების პრივატიზების დროსაც. მიმდინარე პრივატიზაციის პროცესის ერთ-ერთ ნაკლად მიგვაჩნია მხოლოდ კონკურსის პირობებში არსებული საეჭვო რეპუტაციის მქონე კომპანიებისთვის ობიექტების გადაცემა. რადგან ისეთი პრივატიზაციის ეფექტური ინსტრუმენტი, როგორც არის კონკურსის წესით განხორციელება გამოუყენებელ ფორმად რჩება.

2004 წლის სტატისტიკური მონაცემებით კონკურსის ფორმით პრივატიზებული 203 ობიექტიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის დავალიანება ერიცხება 71 მყიდველს. პირობების დარღვევისათვის ხელშეკრულებები გაუქმდა 3 მყიდველთან, სასამართლოში შეტანილია სარჩელი 8 მყიდველზე.

აღსანიშნავია, რომ აუქციონის წესით მხოლოდ ფასზე ორიენტირებული ინსტრუმენტების გამოყენება არადამაკმაყოფილებელ შედეგს გვაძლევს. მართალია, ბიუჯეტში შენატანი შედარებით მაღალია, მაგრამ ამ ფორმით პრივატიზებულ ქონებას არანაირი ვალდებულება არ მიყვება ფულის გადახდის გარდა, რომელიც მყიდველმა ერთ თვეში უნდა დაფაროს. აქედან გამომდინარე, არ არის გათვალისწინებული სოციალური პირობები, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის სოციალურ მდგომარეობაზე.

პრობლემებს ვაწყდებით ასევე მყიდველის მიერ პრივატიზებული ობიექტის საფასურის კანონით განსაზღვრულ ვადაში გადახდისას. კერძოდ, ყოფილა შემთხვევები როდესაც რომელიმე კომპანია ნამდვილად იყო თანხის გამამხდელი, მაგრამ ერთ თვეში ვერ მოუხერხებია ფულადი რესურსების მობილიზაცია და შესაბამისად გარიგებაც ჩაშლილა. ამ მიზეზების გამო ეკონომიკური განვითარების სამინისტრო იძულებული იყო თანხის დაფარვის ვადა სამ თვემდე გაეზარდა, მაგრამ ვინაიდან აუქციონის შემთხვევაში თანხის დაფარვის პერიოდი მკაცრად შეზღუდულია, ქონების პრივატიზება კონკურსის წესით ხდებოდა.

მოსაწესრიგებელია აგრეთვე ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საკონკურსო პირობების შესრულების კონტროლიც. აღნიშნული საკითხი ხშირ შემთხვევაში მოითხოვს საკონკურსო პირობების შესრულების მიმდინარეობისა და ამ მიზნით ჩატარებული სამუშაოების ადგილზე შესწავლას.

სახელმწიფო მფლობელობაში დარჩენილი საშუალო და მსხვილი საწარმოების პრივატიზაცია საქართველოში ნაკლებად რენტაბელურია. მსხვილი საწარმოები მეტად დიდი ზომისაა, მათი აქტივები ცუდ მდგომარეობაშია: დიდი დავალიანებები, სამუშაო ძალის სიჭარბე და სხვა. ისეთი სექტორები როგორცაა ენერჯეტიკა, სატელეკომუნიკაციო მრეწველობა, ტრანსპორტი საჭიროებს მოდერნიზებას, რათა მიზიდველი გახდეს ინვესტორისათვის.

აღსანიშნავია, რომ რედაქციულად დასახვეწია პრივატიზაციის მარეგულირებელი ნორმატიული აქტები: ქონების მართვის სამინისტრო ბრძანება „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ და ქონების მართვის სამინისტროს ბრძანება „სახელმწიფო ქონების იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“. აღნიშნული სამინისტრო რეორგანიზებას დაექვემდებარა ხოლო მისი სამართალმემკვიდრე, ამჟამად არსებობს დეპარტამენტის სახით და ექვემდებარება ეკონომიკური განვითარების სამინისტროს.

„სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ კანონის მეორე მუხლში განსაზღვრულია პრივატიზებიდან შემოსული თანხის გამოყენების პრიორიტეტული მიმართულებები: მცირე ბიზნესში წარმოების განვითარების ღონისძიებათა დაფინანსება, წარმოების სფეროში ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ღონისძიებათა დაფინანსება, პრივატიზების ჩატარების ორგანიზაციული ხარჯების დაფინანსება, გაუთვალისწინებელი ხარჯების დაფინანსება საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით. თუმცა აღნიშნული მუხლი რეალურად არ ფუნქციონირებს ანუ პრივატიზაციიდან შემოსული თანხების განაწილება ხორციელდება აღნიშნული მუხლის უგულვებელყოფით. შესაბამისად მოცემული ნორმა არ ფუნქციონირებს.

„სახელმწიფო ქონების პრივატიზების“ შესახებ კანონის მეოთხე მუხლში განსაზღვრულია ის სახელმწიფო ქონება, რომელიც პრივატიზებას არ ექვემდებარება, თუმცა გარკვეული ობიექტები ამ ნუსხიდან უკვე პრივატიზებულია ან გამოტანილია საპრივატიზაციოდ.

ამასთან, პრივატიზაციის პროცესს თან სდევს შემაფერხებელი გარემოებები: ინსტიტუციონალურად გაუმართავი დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა და კერძო საკუთრებითი უფლებების დაცვა. ინვესტორისათვის მეტად მნიშვნელოვანია სასამართლო ხელისუფლების ობიექტურობის ხარისხი, თუ იგი დარწმუნებული არ იქნება, რომ სასამართლო ხელისუფლება სადაო საკითხს გადაწყვეტს ობიექტურად, ის ჩათვლის, რომ ქვეყანაში არ არსებობს ინსტიტუტი, რომელიც მის ინტერესებს დაიცავს.

ინფორმაცია პრივატიზაციის პროცესის მიმდინარეობის თაობაზე

პრივატიზაციის პროცესში 1992 წელს დაწყებული ეტაპი მეტნაკლებად წარმატებით მიმდინარეობს. ამ დროისთვის პრივატიზებულია 15 000-ზე მეტი საწარმო, თუმცა სახელმწიფოს მფლობელობაში დარჩენილი საწარმოო სიმძლავრეები და უძრავ-მოდრავი ქონება საკამოდ მოცულობითია. გარდა ამისა დაგეგმილია სახელმწიფოს მონაწილეობით შექმნილი საწარმოების პრივატიზებაც.

2005 წელს დაწყებული პრივატიზების ახალი ეტაპის განხორციელება გათვლილია უახლოეს 18 თვეზე. პრივატიზაციის პროცესის შემდგომ განვითარებას ხელს უწყობს კერძო ინვესტიციებისთვის სათანადო გარემოს შექმნა ქვეყანაში. ეს თავის თავში მოიცავს სხვადასხვა ელემენტს, მათ შორის ხელსაყრელ საკანონმდებლო ბაზასაც. ქვეყანაში შექმნილი ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო პროპორციულად ზრდის პრივატიზაციის პროცესის დაჩქარების შესაძლებლობას.

2003 წლის ცნობილი მოვლენების შემდეგ „ვარდების რევოლუციით“ მოსული ახალი ხელისუფლებისთვის პრივატიზაციის დაჩქარებული პროცესი არის მათ მიერ გატარებული რეფორმების ერთ-ერთი კომპონენტი. ამ პროცესის მიზანია სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი საწარმოების სწრაფი გადასვლა კერძო საკუთრებაში და ეკონომიკის დერეგულაცია კერძო ინვესტიციების მობილიზაციისთვის.

ბევრ შემთხვევაში პრივატიზაცია არის ეკონომიკის და მრეწველობის რეაბილიტაციის ერთ-ერთი საშუალება. სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ობიექტები ძირითადად არსებულ მდგომარეობაში გამოაქვთ გასაყიდად. მიმდინარე პრივატიზაციის პროცესში, ხელისუფლების მიზანია ამ აქტივებზე რეალური ფასების დაწესება ბაზარზე მათი ღირებულების მიხედვით.

დღესდღეობით ხელისუფლება მოწოდებულია მაქსიმალურად მიიზიდოს უცხოელი ინვესტორები საქართველოში შესაბამისი ბიზნესგარემოს შექმნით. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ცენტრალური ხელისუფლების როლის გაზრდა ერთ-ერთი ფაქტორია, რომელიც ხელს შეუწყობს პრივატიზაციის პროცესის დაწინაურებას, რადგან 2003 წლამდე ამ რეგიონში ძალიან მცირე რაოდენობის საწარმოების პრივატიზაცია განხორციელდა.

იმისთვის რომ პრივატიზაციის მიმდინარე პროცესი იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე და ინფორმაცია საპრივატიზაციო ობიექტების შესახებ მიეწოდოს ფართო საზოგადოებას, გამოიყენება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ვებგვერდი, რომელზეც თავსდება განახლებული ინფორმაცია საპრივატიზაციო ობიექტების შესახებ. გარდა ამისა, 2003 წელს გაუქმდა ქონების მართვის სამინისტრო და მისი კომპეტენცია გადაეცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, შესაბამისად ამან განაპირობა პრივატიზაციის პროცესის მართვის უფლების გადაცემა ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთვის.

ამჟამად საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შემადგენლობაშია საწარმოთა მართვის სააგენტო, რომელიც დაკავებულია

საწარმოთა მომზადებით პრივატიზაციისთვის. რეკლუციის შემდეგ სახელმწიფო ქონების პრივატიზაციიდან შემოსულია დახლოებით 365 მლნ ლარი.

სახელმწიფოს მიერ წამოწყებული პრივატიზაციის პროცესი დაიწყო 1993 წლის მარტში. 2003 წლის პირველ ნახევარში დაიხურა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო, რომელიც პრივატიზაციის საწყის ეტაპზე იყო პასუხისმგებელი აღნიშნულ პროცესზე. ეს სამინისტრო შეიცვალა პრივატიზაციის დეპარტამენტით (ეკონომიკური განვითარების სამინისტრო) და სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოთი.

მცირე საწარმოების პრივატიზაცია საქართველოში დაიწყო 1993 წელს და დღემდე ერთ-ერთ წარმატებულ ასპექტად რჩება. 1993 წლიდან 17571 მცირე საწარმოს პრივატიზაცია მოხდა. მრავალი საწარმო დაიშალა პრივატიზაციის პროცესში, სწორედ ამიტომ საპრივატიზაციოდ გამოტანილი საწარმოების რიცხვი არ ემთხვევა სინამდვილეში პრივატიზებული საწარმოების რაოდენობას.

პრივატიზებული საწარმოების უმრავლესობა მოდის ვაჭრობის და მომსახურების სექტორებზე, 32% და 46%, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 0,5 % მოდის ენერჯეტიკის სექტორზე, როგორც ამას ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს (ცხრილი 1).

ცხრილი 1. მცირე საწარმოების პრივატიზაცია 1993-2003

ინდუსტრიული სექტორი	დამტკიცებული	პრივატიზებული	პრივატიზებული 2003 წელს	მთლიანად პრივატიზებული (პროცენტულ გამოსახულებაში %)
მრეწველობა	412	341	1.9	10
ენერჯეტიკა	82	95	0.5	7
პურპროდუქტები	142	127	0.7	–
სოფლის მეურნეობა	801	1.026	5.8	45
მშენებლობა	452	406	2.3	20
ვაჭრობა	4.723	5.608	31.9	70
მომსახურება	5.716	8.049	45.8	527
ნავთობპროდუქტები	172	174	1.0	–
ჯანდაცვა	848	667	3.8	24
სოციალური სექტორი	536	786	4.5	27
ტრანსპორტი	233	292	1.7	31
საერთო	14.117	17.571	100	761

ქვემოთ მოცემულ ცხრილში (იხ. ცხრილი 2) მოცემული მონაცემები გვიჩვენებს, რომ მთლიანად აღებულ პერიოდში უმეტესი საწარმოების პრივატიზება მოხდა თბილისში (5,454 საწარმო).

ცხრილი 2. მცირე საწარმოების პრივატიზაცია რეგიონების მიხედვით, 1993-2003

რეგიონი	დამტკიცებული	პრივატიზებული ან ლიკვიდირებული	პრივატიზებული 2003
აფხაზეთი	8	-	-
აჭარა	397	171	-
თბილისი	4,689	5,454	170
გურია	321	490	18
რაჭა-ლეჩხუმი და სვანეთი	171	282	3
სამეგრელო და ზემო სვანეთი	1,122	1,554	9
იმერეთი	2,785	3,416	235
კახეთი	1,106	1,438	103
მცხეთა-თიანეთი	327	422	11
სამცხე-ჯავახეთი	613	978	47
ქვემო ქართლი	1,157	1,693	61
შიდა ქართლი	897	1,089	44
ქონების მართვის სამინისტრო	524	584	60
საერთო	14,117	17,571	

საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ამ დროისთვის გასაყიდი დარჩა 550-ზე მეტი ობიექტი, საიდანაც დაახლოებით 120 უკვე მზად არის გასაყიდად.

გარდა ამისა, რევილუციის შემდეგ პრივატიზებული ობიექტების სიაში სჭარბობს ობიექტების პრივატიზება აუქციონის ფორმით, მეორე ადგილზეა კონკურსის ფორმა და შედარებით ნაკლებად მიმართავენ პირდაპირი მიყიდვის ფორმას.


2005 წლის ოქტომბრიდან სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზებაც დაიწყო. სახელმწიფო საკუთრებაში 360 000 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწაა დარჩენილი, რაც მთელი ფართობის 45 % შეადგენს. სასოფლო-სამეურნეო მიწების საერთო ფართობის 55 % კერძო საკუთრებაში 1992-1998 წლებში გადავიდა. დარჩენილი მიწების პრივატიზება უახლოეს პერიოდშია დაგეგმილი, საიდანაც სახელმწიფო 80 მლნ ლარის შემოსვლას ელოდება. პრივატიზებას არ ექვემდებარება სასახლდრო ზოლიდან 500 მეტრის რადიუსში მდებარე მიწები. სასოფლო-სამეურნეო მიწის პრივატიზება განიხილება როგორც უმნიშვნელოვანესი წინაპირობა საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის.

ცხრილი 3. სახელმწიფო ქონების პრივატიზებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებული თანხები (1993 - 2005 წლები)

პერიოდი	პ რ ი ვ ა ტ ი ზ ა ც ი ა			იჯარა
	კონსოლიდირებული ბიუჯეტი	ც/ბიუჯეტი	აღგ.ბიუჯეტი	ც/ბიუჯეტი
1993წ	1700			
1994წ	58200			
1995წ	164200			
1996წ	30300			
1997წ	30000			
1998წ	73300	46800	26500	
1999წ	52000	20900	31100	
2000წ	23100	12800	10300	
2001წ	13100	5600	7500	
2002წ	15300	8700	6600	
2003წ	30300	23600	6700	618
2004წ	72739	67008	5731	1300
2005წ	360073	335700	24373	885
სულ	924312	521108	118804	2803


საქართველოს სახელმწიფო ქონების პრივატიზაციიდან
სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებული თანხები
(1993-2005 წლები)

დიაგრამა 2. კონსოლიდირებული ბიუჯეტი




როგორც ზემოთ მოცემული დიაგრამიდან ჩანს (იხ. დიაგრამა 2.) პრივატიზაციიდან, წლების მიხედვით, კონსოლიდირებულ ბიუჯეტში თანხების შემოსვლა ზრდის ტენდენციით ხასიათდება. განსაკუთრებით აქტიური ფაზაა 2004-2005 წლები, ვინაიდან ამ პერიოდში ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკა ორიენტირებული იყო პრივატიზაციის პროცესის მაქსიმალურად დაჩქარებაზე.

დიაგრამა 3. ცენტრალური ბიუჯეტი



დიაგრამა 4. ადგილობრივი ბიუჯეტი



ზემოთმოცემული დიაგრამები (იხ. დიაგრამა 3 და დიაგრამა 4) ნათლად ასახავს პრივატიზაციის პროცესის აქტიურ ფაზას (2004-2005 წლები) და მასთან დაკავშირებული თანხების ზრდას ბიუჯეტში, როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ დონეზე.

ალტერნატივები

ალტერნატივები	კრიტერიუმები				
	ეკონომიკური ზრდა	დასაქმება	ინვესტიციები	ბიუჯეტში შემოსავლები	ჯამი
პრივატიზაცია	5	5	4	4	18
მენეჯმენტის გაუმჯობესება	2	2	3	3	10
აქციების საფონდო ბაზარზე რეალიზაცია	4	3	5	5	17
სტატუს ქვო	0	1	0	1	2

პრივატიზაცია გულისხმობს სახელმწიფო ქონების (შენობები, ნაგებობები, მანქანა-დანადგარები, სხვა მატერიალური და არამატერიალური აქტივები) გაყიდვა-გასხვისებას. ეს პირველ რიგში. ნიშნავს იმას, რომ გაყიდვიდან მიღებული თანხები მიემართება ბიუჯეტში, რაც ხელს უწყობს სახელმწიფო შემოსავლებისა და შესაბამისად, ბიუჯეტის გაზრდას, ანუ ხდება ფისკალური ეფექტის ამაღლება. პრივატიზაციის შედეგად მიიღწეული, გარდა იმისა, რომ იხდის შესაბამის თანხას ბიუჯეტში, ასევე საკუთრებაში გადაცემულ ქონებაში ახორციელებს ინვესტიციებს. შენობა-ნაგებობები, მოწყობილობები და მათში დაბანდებული ინვესტიციები ის ძირითადი ფაქტორებია, რომლებიც ხელს უწყობენ მწარმოებლურობის ამაღლებას. რის საფუძველზეც ვითარდება ეროვნული მეურნეობა და იქმნება ახალ-ახალი ადგილები. შესაბამისად იზრდება დასაქმების დონე. გარდა ამისა მწარმოებლურობის გადიდება იწვევს მშპ-ს გადიდებასაც. ყოველივე ეს კი ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას. აქვე აღსანიშნავია, რომ პრივატიზაციის დროს საქმე გვაქვს დადებით ფისკალურ ეფექტთან არა მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში, არამედ გრძელვადიან პერიოდშიც გადასახადების სახით, რომლებსაც ამოქმედებული საწარმო გადაიხდის ბიუჯეტში.

მენეჯმენტის გაუმჯობესება ნიშნავს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების ან მათი აქციების მართვის უფლების გადაცემას ფიზიკური ან იურიდიული პირებისათვის. მისი ძირითადი მიზანია მართვის ეფექტიანობის ამაღლება. ამ შემთხვევაში პრივატიზაციისაგან განსხვავებით, კაპიტალური შემოსავლების გაზრდის ნაცვლად მოხდება სახელმწიფო ხარჯების გადიდება, რაც გულისხმობს შენობა-ნაგებობების, მანქანა-დანადგარების და სხვა მატერიალური აქტივების აღდგენის ღირებულების ხარჯებს. ყოველივე ეს კი დაკავშირებულია დამატებით ფინანსურ, ადამიანურ და სხვა რესურსებთან. ამასთან, სახელმწიფო საწარმოების ამოქმედება და შემდგომი ფუნქციონირება ძირითადად დამოკიდებული იქნება დოტაციებზე ანუ სახელმწიფო დაფინანსებაზე. ამ შემთხვევაში ძირითად ინვესტორად თავად სახელმწიფო მოგვევლინება. აქედან გამომდინარე ვერ იქნება უზრუნველყოფილი დადებითი ფისკალური ეფექტი ვერც მოკლევადიან და ვერც გრძელვადიან პერიოდში, ასევე ვერ მიიღწევა სათანადო დონით ეკონომიკური ზრდა. სასურველია, რომ მენეჯმენტის გაუმჯობესება მოხდეს არამომგებიან, კერძო ინვესტორისათვის ნაკლებად მიმზიდველ, ისეთ

სტრატეგიულ-ეკონომიკური დარგის ობიექტებში, როგორცაა: ენერგეტიკა, კავშირგაბმულობა, სამხედრო წარმოება და სხვა.

აქციებად გაყიდვა ნიშნავს საფონდო ბაზარზე სახელმწიფო საწარმოების აქტივების აქციების სახით გაყიდვას, გომოდინარე იქიდან, რომ აუქციონის მიზნია საკუთრების უფლება გადასცეს მას, ვინც მეტს გადაიხდის. ამ შემთხვევაში ფისკალური ეფექტი გაცილებით მეტი იქნება მოკლევადიან პერიოდში, ვიდრე, ჩვეულებრივ პრივატიზაციის დროს, შესაბამისად მეტი თანხა შევა ბიუჯეტში.

ასევე აქციებით გაყიდვა უზრუნველყოფს ინვესტიციების განხორციელების ზრდას, რადგან აქცია თავისი არსით წარმოადგენს დამატებით ინვესტიციას. ერთ-ერთი უმთავრესი შედეგი, რაც შეიძლება აქციებით გაყიდვას მოჰყვეს არის საფონდო ბაზრის შექმნის სტიმულირება. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ პირობებში, როდესაც საფონდო ბაზარი თითქმის არ ფუნქციონირებს. აღნიშნული ფაქტორები ხელს შეუწყობს მწარმოებლურობის ამაღლებას, რაც მშპ-ს გაზრდისა და დასაქმების დონის გადიდების წინაპირობაა. გარდა ამისა მოსახლეობას საშუალება ექნება საფონდო ბაზრის საშუალებით შეიძინოს აქციები, რომლიდანაც მიღებული დივიდენდები დამატებითი შემოსავლის წყარო იქნება. ყოველივე ამას კი მოჰყვება ქვეყნის ეკონომიკური ზრდა.

მიუხედავად ამისა არსებობს უარყოფითი მხარეც, აქცენტი კეთდება ფასზე და არა იმ პირობებზე, რომლის შეთავაზებაც სურს სახელმწიფოს მყიდველისათვის, ამიტომ შესაძლებელია მოხდეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების შელახვა.

სტატუს ქვო გულისხმობს არსებული მდგომარეობის შენარჩუნებას. მატერიალური და არამატერიალური აქტივები სახელმწიფოს საკუთრებაშია და განწირულია გაძარცვა-განადგურებისათვის. იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფოს არ გააჩნია საჭირო ფინანსები, ისინი ვერ მოიტანენ ფისკალურ ეფექტს, ვერ შექმნიან სამუშაო ადგილებს ანუ ვერ გაზრდიან დასაქმების დონეს, ვერ უზრუნველყოფენ მშპ-ს ზრდას და მაშასადამე, ვერ მიიღწევა ქვეყნის ეკონომიკური ზრდა.

პრობლემების ბალანსის ბზები და რეკომენდაციები

პრივატიზაციის სწრაფად და ეფექტურად წარმართვა მნიშვნელოვნად განაპირობებს საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებას. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ტერიტორიულ ორგანოებთან ორგანიზაციული მუშაობის კურსი მომავალში აღებულ იქნას ოპტიმალურ დეცენტრალიზაციაზე, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების როლის გაზრდაზე.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ტერიტორიული ორგანოების საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს კონკურსი და იჯარა-გამოსყიდვის ფორმით გაცემული ობიექტების, ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ფორმებით გაცემული ქონების მყიდველებთან და მოიჯარეებთან დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული თანხის ვადებში გადახდისა და ხელშეკრულებების პირობების შესრულების მონიტორინგი.

ტერიტორიული ორგანოების მიერ პრივატიზებული ობიექტების მყიდველებთან დადებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული თანხების გადახდის მონიტორინგთან ერთად მოსაწესრიგებელია ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საკონკურსო პირობების შესრულების კონტროლიც.

აღნიშნული საკითხის მოსაწესრიგებლად და კონტროლის მექანიზმის სრულყოფისათვის აუცილებელია გასატარებელ ღონისძიებათა ნუსხაში ტერიტორიული ორგანოების საქმიანობის კომპლექსური და თემატური შემოწმების გათვალისწინებაც, სადაც ყურადღება გამახვილდება ასევე ტერიტორიული ორგანოების მიერ კანონმდებლობის სხვა ნორმატიული აქტების შესრულებაზე კონტროლის განხორციელების საქმეში, რაც გამოიხატება სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესში სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების გაანალიზების გატარებაში.

ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ, რომელიც შეეხება რეალური ანტიკორუფციული ღონისძიებების გატარებას ტერიტორიულ ორგანოებში. ცალსახად უნდა ითქვას, რომ, მართალია ტერიტორიული ორგანოების მუშაობის კონტროლის გამკაცრება აუცილებელია, მაგრამ ეს პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი მხარეა და მხოლოდ ამ მიმართულებით მუშაობა პრაქტიკულად მნიშვნელოვან შედეგს ვერ გამოიღებს. კორუფციის შემცირებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ცვლილებების გატარება, რათა ოპტიმალურად იქნეს მოხსნილი წინააღმდეგობები, რომელიც დღეს არსებული კანონმდებლობით ხელს უწყობს ან შეიძლება ხელი შეუწყოს გარკვეულ გარიგებებს პრივატიზების პროცესში. პარალელურად, ადგილობრივი მართველობის ორგანოებთან ურთიერთთანამშრომლობით საჭიროა მოხელის შრომის ანაზღაურების გაზრდის შესახებ საკითხის შემუშავება.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების აქციების სახით განკერძოება, რომლის მიხედვითაც საფონდო ბაზარზე საპრივატიზაციო ობიექტები გამოტანილი იქნება არა მთლიანი პაკეტების სახით, არამედ ნაწილ-ნაწილ აქციების მიხედვით. ეს პროცესი ერთის მხრივ ხელს შეუწყობს საფონდო ბირჟის განვითარებას, რომელიც საკმაოდ დაბალ დონეზეა განვითარებული, ხოლო მეორეს მხრივ ხელს შეუწყობს ინვესტიციების მოზიდვას, რაც არსებითად მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკისათვის.

საკუთრების რეფორმაციის შესახებ საკანონმდებლო აქტების მიღებისას აუცილებელია მათი საგულდაგულო ექსპერტიზა იმასთან დაკავშირებით, თუ რა

გავლენას მოახდენს ისინი კორუფციის გავრცელებაზე და მთლიანად საზოგადოებისა და ეკონომიკის კრიმინალიზაციაზე. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ თავად პრივატიზაცია მძლავრი ანტიკორუფციული საშუალებაა, ასე მაგ. საწარმოს განკერძოებისას აზრს კარგავს ისეთი მანკიერი მოვლენები, როგორცაა: ქურდობა, დატაცება, გაფლანგვა, შემოსავლების დამალვა, მიწერები, არაკომპეტენტურობა, არაპროფესიონალიზმი, საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება და ა.შ.

საქართველოს კანონმდებლობით პრივატიზაციის ფორმების რეგულირება ხორციელდება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, ბრძანებებით. უმჯობესი იქნება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები მოქცეულ იქნას ძირითად კანონში ან შეიქმნას ახალი კანონი, რომელშიც განსაზღვრული იქნება ყველა ნორმა, რომელიც მოცემულია კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ბრძანება „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ბრძანება „სახელმწიფო ქონების იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საჭიროებენ რედაქტიულ დახვეწას, რადგან აღნიშნული სამინისტრო ამჟამად აღარ ფუნქციონირებს.

პრივატიზაციის პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის აუცილებელია სტაბილური გარემოს შექმნა, როგორც პოლიტიკაში ისევე კანონმდებლობაში. მნიშვნელოვანია იმის ცოდნა თუ რამდენად სტაბილურია ხელისუფლება, რამდენად შეუძლია მთავრობას თავისი პოლიტიკის ცხოვრებაში გატარება. სოციალური დაძაბულობა და მღელვარება, სულ მცირე, არღვევს საწარმოო პროცესის ნორმალურ მიმდინარეობას და ზღუდავს პროდუქციის გასაღების პროცესს, ყოველივე ეს ქმნის არახელსაყრელ გარემოს ინვესტორისათვის. არა პროგნოზირებადი გარემო კიდევ უფრო გაურკვეველს ხდის უცხოელი ინვესტორისათვის, რის გამოც გაზრდილი რისკის პირობებში ისინი უმეტესწილად ტოვებენ რეგიონს. ქვეყანაში დემოკრატიული გარდაქმნის სტაბილურობა კი სამეწარმეო აქტიურობის წინაპირობაა.

სახელმწიფოს მფლობელობაში დარჩენილი საშუალო და მსხვილი საწარმოების უმრავლესობის არარენტაბელურობის გამოსწორების მიზნით აუცილებელია რესტრუქტურირაცია, რეაბილიტაცია ან ლიკვიდაცია, რათა აღნიშნული საწარმოები მიმზიდველი გახდეს ინვესტორებისათვის.

დასკვნა

საქართველოსა და სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში მიმდინარეობს ტრანსფორმაციის პროცესი, რომელიც გულისხმობს სოციალისტური სისტემის კაპიტალისტური სისტემით შეცვლას, როგორც რევოლუციური ისე ევოლუციური გზით.

ტრანსფორმაცია შეიძლება იყოს სისტემური და ინსტიტუციური. ეს უკანასკნელი გამოიხატება: საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებით, კერძო სექტორის დამკვიდრებით, საკუთრების და თავისუფალი კონკურენციის პირობებში სახელმწიფო გარანტიის დაკანონებით, სახელმწიფო საკუთრების განკერძოებით და პრივატიზაციის პროცესის განხორციელებით.

ამდენად, პრივატიზაცია ხელს უწყობს ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში საბაზრო ძალების ზემოქმედებას, რაც პირველ რიგში სასარგებლოა მომხმარებლისათვის, რადგანაც პრივატიზებული ობიექტების ეფექტურობის ამაღლებით სთავაზობს მათ შედარებით დაბალ ფასებსა და თავისუფალი არჩევანის საშუალებას.

ამასთან, პრივატიზაცია ზრდის ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობას, რაც შრომის ნაყოფიერების გაზრდისა და ფასის შემცირების საშუალებას იძლევა.

აღსანიშნავია, რომ პრივატიზაცია ყოველთვის განიხილებოდა, როგორც მეთოდი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ერთი დარტყმით (ხელის მოსმით) სახელმწიფო სექტორის შეცვლა კერძო სექტორით.

პრივატიზაციის დროს სახელმწიფო ხარჯები სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ობიექტების დაფინანსებაზე მნიშვნელოვნად მცირდება და დადის ნულამდე. აქედან გამომდინარე, საპრივატიზაციო კომპანიების აქტივებისა და მათი აქციების გაყიდვა, შესაბამისად ხელს უწყობს სახელმწიფო შემოსავლების ზრდას.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ მასობრივი დაჩქარებული პრივატიზება ეფექტიანი არ არის და, პირიქით, თუ სახელმწიფო სუსტია და კონკურენციას არ აქვს ადგილი, მაშინ იგი შეიძლება საკუთრების გადანაწილების მექანიზმად მოგვევლინოს მცირერიცხოვან პრივილეგიურულ ჩინოვნიკების ხელში.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მცირე მეწარმეობის სტიმულირებას, კერძო სექტორი თვითდაფინანსების საფუძველზე განვითარების მიზნით. პრივატიზებული საწარმოს უმოქმედობა, ან თუნდაც მცირე სიმძლავრით მუშაობა, მცირე რენტაბელობა ტრანსფორმაციული კრიზისის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია.

პრივატიზაციის პროცესის განხორციელებამ აუცილებლად უნდა გამოიწვიოს ეფექტიანი მესაკუთრის ჩამოყალიბება. ეს უკანასკნელი კი საშუალო ფენის ფორმირების წინაპირობაა. სხვანაირად, პრივატიზაციას აზრი ეკარგება და ვერ გამოიღებს სასურველ და უმთავრეს შედეგს, რასაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური წინსვლა წარმოადგენს.

ამრიგად, პრივატიზება წარმოადგენს ეკონომიკური ეფექტურობის გაზრდის ერთ-ერთ საშუალებას. იგი არსებითი და მნიშვნელოვანი მოვლენაა, მისი სწორად წარმართვა დადებით გავლენას ახდენს სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებაზე.

ინფორმაციის წყაროები

1. „მოსახლეობა ციფრებში“-სტატისტიკური კრებული. თბილისი, 2004
2. მექვაბიშვილი ე. „ეკონომიკური რეფორმების მეორე ეტაპის პრიორიტეტული; მიმართულებების განსაზღვრის საკითხისათვის“ თბილისი, 1997;
3. მესხია ი. „საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეპტუალური საკითხები“. ჟ. „ეკონომიკა“, № 1-3, თბილისი, 1996;
4. საქართველოს ეკონომიკური სამინისტროს ვებ-გვერდი. www.privatization.ge;
5. სახელმწიფო ქონების მართვა: პრივატიზება და ნორმატიული დოკუმენტები თბილისი, 2003;
6. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი №44 თბილისი, 2000;
7. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი №62 თბილისი, 2001;
8. საქართველოს ეკონომიკის მიმართულებები კვარტალური მიმოხილვა №1 №2 თბილისი, 2004;
9. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 2003 წლის ინდიკატიური გეგმა, თბილისი, 2002;
10. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 2001-2005 წლის ინდიკატიური გეგმა, თბილისი, 2001;
11. საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამა, სადისკუსიო მასალა, თბილისი, 2003;
12. საქართველოს კანონი „2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ თბილისი, 2003;
13. საქართველოს კანონი „2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ თბილისი, 2004;
14. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, თბილისი, 1994;
15. საქართველოს კანონი „მიწების რეგისტრაციის შესახებ“, თბილისი, 1999;
16. საქართველოს კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, თბილისი, 1996;
17. საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“, თბილისი, 1997;
18. საქართველოს კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და პრივატიზების შესახებ“, თბილისი, 1996;
19. საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“, თბილისი, 1996;
20. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია. თბილისი 2003;
21. ხარაიშვილი ე. „ეკონომიკურ-ორგანიზაციულ ურთიერთობათა სისტემა“;
22. ხარიტონაშვილი ჯ. „მსოფლიო გლობალური პრობლემები“, თბილისი, 2001;
23. პაპავა ვლ. „პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ეკონომიკა და საქართველოს ეკონომიკა“. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, თბილისი, 2002.

კვლევა განხორციელდა საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის კვლევითი ცენტრის მიერ.

ცენტრის ადმინისტრატორი: ლია პაპაშვილი

კოორდინატორი: მირიან ჩაჩავა
ნანა კვიციანი

სამუშაო ჯგუფის წევრები: გიორგი ქიტესაშვილი
მიხეილ ცისკარიშვილი
ქეთი ჭითანავა

© საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია
საქართველო, თბილისი 0105
ვ. ორბელიანის 35; ტელ.: 92-28-39; 99-04-43
www.economists.ge
E-mail: office@economists.ge